ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 366

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს დაკომპლექტების შესახებ

16 დეკემბერი, 2015 ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრისN129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის “ფ“ ქვეპუნქტის და 23-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს (შემდგომში-საბჭო) დაკომპლექტება მოხდეს შემდეგი შემადგენლობით:
   ა) მელიქიშვილი ნინო (კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი);
   ბ) ქავთარია მიხეილი (კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი);
   გ) რაფავა მაია (კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი);
   დ) კლდიაშვილი დარეჯან (წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი);
   ე) ცაგარეიშვილი ელენე (წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი);
   ვ)მაჭავარიანი ელენე (ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი);
2. დაევალოს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, პირველი სხდომის ჩატარება და თავისი შემადგენლობიდან საბჭოს თავმჯომარისა და მდივნის არჩევა;
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს შესაბამისი ინფორმაციის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
6. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს (მ. ხუტუნიშვილი) ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*